საიდ. №66928/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 81-03/13

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ე. ეგუტია (თავმჯდომარე), ე. ქემაშვილი, დ. ჭიჭინაძე, ქ. კილაძის მდივნობით განიხილა კომპანია „ანტი ენნ'ს ინკ" („AUNTIE ANNE'S Inc.") (აშშ) სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 1 იანვრის №26/03 ბრძანების ბათილად ცნობა, იმ ნაწილში, რომლითაც განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „AUNTIE ANNE'S" (საიდ. №66928/03) უარი ეთქვა 30-ე კლასის განცხადებული საქონლის მიმართ რეგისტრაციაზე. აღნიშნულ ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანს „AUNTIE ANNE'S" უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, ვინაიდან იგი მსგავსია კომპანიის „Aktiobolaget Annas Pepparkakor" (შვედეთი) სახელზე რეგისტრირებული და საქართველოზე გავრცელებული ნიშნისა „ANNA'S" (IR923954; გავრცელების თარიღი 13.07.2010წ; რეგ. თარიღი: 19.04.2007წ.) 30-ე კლასის მსგავსი საქონლისათვის. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ ნიშანში გამოყენებული აღნიშვნა „ANNE'S" გამოითქმის ისევე, როგორც დაპირისპირებული ნიშანი „ANNA'S" და ორივე ჩანაწერი ასოცირდება ქალის სახელთან. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ ნიშანში გამოყენებული აღნიშვნა „AUNTIE" (მამიდა, დეიდა – კნინობითი ფორმა) კი არ ანიჭებს მას საკმარის განმასხვავებლობას დაპირისპირებული ნიშნისაგან. რაც ქმნის ნიშნებს შორის აღრევისა და

შესაბამისად მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას 30-ე კლასის მსგავსი საქონლის მიმართ და „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტის თანახმად წარმოადგენს სასაქონლო ნიშნის „AUNTIE ANNE'S" დაცვაზე ნაწილობრივ უარის თქმის საფუძველს.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანიის წარმომადგენელი შალვა გვარამაძე არ ეთანხმება საქპატენტის არსობრივი ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და მიაჩნია, რომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტის თანახმად არ არსებობს სასაქონლო ნიშნის „AUNTIE ANNE'S" საქართველოში რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი 30-ე კლასის საქონლის ჩამონათვლის მიმართ.

აპელანტის განმარტებით განცხადებულ და დაპირისპირებულ ნიშნებს შორის არსებობს საკმარისი დონის განსხვავებადობა იმისათვის, რომ არ მოხდეს მომხმარებლის მიერ ამ სასაქონლო ნიშნებით მონიშნული ერთგვაროვანი საქონლის მწარმოებელი კომპანიების ერთმანეთში აღრევა.

განცხადებული და დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნები ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც ვიზუალური, ასევე სემანტიკური და ფონეტიკური თვალსაზრისითაც.

აპელანტი ასევე უთითებს, რომ დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი შედგება ერთი მარტივი სიტყვისგან, „ANNA'S", მაშინ როცა განცხადებული სასაქონლო ნიშანი „AUNTIE ANNE'S" ორსიტყვიანია და სიტყვის „AUNTIE" არსებობა მას გარკვეულ ვიზუალურ განსხვავებადობას ანიჭებს. ორივე ნიშანი შეიცავს ქალის სახელს, რომლის დაბოლოებაც ერთ შემთხვევაში არის ასო „A", ხოლო მეორე შემთხვევაში ასო „E", რაც ასევე აძლიერებს განსხვავებას ვიზუალური თვალსაზრისით.

ფონეტიკური თვალსაზრისით შედარებისას ნათელია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი შედგება ორი სიტყვისგან და მასში მეორე სიტყვის „AUNTIE" არსებობა დაპირისპირებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანთან „ANNA'S" შედარებით განსხვავებულ ჟღერადობას აძლევს.

აპელანტის განმარტებით, ნიშნებს შორის სემანტიკური განსხვავებაც გამოწვეულია განცხადებულ სასაქონლო ნიშანში მეორე სიტყვის „AUNTIE" არსებობით, რომელიც წარმოადგენს სიტყვის „AUNT" მოფერებით, საალერსო ვარიანტს. სიტყვას „AUNT" ქართულ ენაზე გააჩნია რამდენიმე შესატყვისი: დეიდა, მამიდა, ბიცოლა ე.ი. განცხადებული სასაქონლო ნიშანიც ქართველმა მომხმარებელმა შესაძლოა აღიქვას როგორც მიმანიშნებელი, რომ საქონელი, რომელიც ამ ნიშნით არის მონიშნული არის „დეიდუკა ანასი", „მამიდუკა ანასი" ან „ბიცოლუკა ანასი".

აპელანტი აღნიშნავს, რომ როგორც განცხადებული სასაქონლო ნიშნის განაცხადში მოყვანილი საქონელი, ისე დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნით დაცული საქონელი მიეკუთვნება საკონდიტრო ნაწარმს, კერძოდ ცომეული ნაწარმის კატეგორიას, მაგრამ კომპანია „ანტი ენნ'ს ინკ." განთქმულია თავისი ტრადიციული, ორიგინალური ფორმის, სხვადასხვა ტიპის „პრეტცელებით", ხოლო სასაქონლო ნიშნით „ANNA'S" დაცული საქონლის ჩამონათვალში აქცენტი გაკეთებულია ჯანჯაფილიან თაფლაკვერებსა და ბისკვიტებზე.

აპელანტი ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სასაქონლო ნიშანი „AUNTIE ANNE'S", არის მისი საფირმო დასახელების „AUNTIE ANNE'S Inc." ძირითადი ნაწილი. კომპანია არსებობს 1988 წლიდან და სასაქონლო ნიშანი, გარდა ამერიკის შეერთებული შტატებისა, დაცულია დიდ ბრიტანეთში და შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის უწყებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 1 იანვრის №26/03 ბრძანების ბათილად ცნობას, იმ ნაწილში, რომლითაც განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „AUNTIE ANNE'S" (საიდ. №66928/03) უარი ეთქვა 30-ე კლასის განცხადებული საქონლის მიმართ რეგისტრაციაზე და განცხადებული სასაქონლო ნიშნის სრული განცხადებული საქონლის ჩამონათვლის მიმართ რეგისტრაციას.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 1 იანვრის №26/03 ბრძანება, იმ ნაწილში, რომლითაც განცხადებულ

სასაქონლო ნიშანს „AUNTIE ANNE'S" (საიდ. №66928/03) უარი ეთქვა 30-ე კლასის განცხადებული საქონლის მიმართ რეგისტრაციაზე.

განცხადებული ნიშანი განსხვავებულია დაპირისპირებული ნიშნისაგან როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური და სემანტიკური თვალსაზრისით. აპელანტის ნიშანი ლათინური ანბანისაგან შემდგარი ორსიტყვიანი ნიშანია „AUNTIE ANNE'S", ხოლო დაპირისპირებული ნიშანი კი ერთსიტყვიანია „ANNA'S". გარდა სიტყვების რაოდენობის განსხვავებისა, ასევე არ არის იდენტური დაპირისპირებული ნიშანი „ANNA'S" და განცხადებულ ნიშანში შემავალი სიტყვა „ANNE'S". რაც შეეხება ნიშნების ფონეტიკას, ისინი ასევე განსხვავებულია. ერთი გამოითქმის როგორც „ანტი ანნეს", ხოლო მეორე კი როგორც „ანნას". ძირითადი განმასხვავებლობის მქონე კრიტერიუმად ამ შემთხვევაში შეიძლება მაინც ჩაითვალოს ნიშნების სემანტიკური დატვირთვა. განცხადებული ნიშნის პირველი სიტყვა „AUNTIE" აღნიშნავს დეიდას, ბიცოლას, მამიდას, მის კნინობით ფორმას, რაც ასევე ემთხვევა აპელანტის მოსაზრებას. ნიშანი მთლიანობაში აღნიშნავს „დეიდა (დეიდუკა) ანნეს", ხოლო დაპირისპირებული ნიშანი კი მხოლოდ ქალის სახელს „ანნას" წარმოადგენს. ამდენად, სახეზეა განცხადებულ და დაპირისპირებულ ნიშნებს შორის არსებული ვიზუალური, ფონეტიკური და სემანტიკური განსხვავება.

ყოველივე ზემოთქმულიდან და აღნიშნული არგუმენტებიდან გამომდინარე, კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით დადგენილი განცხადებული სასაქონლო ნიშნისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი. ასევე არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი განცხადებული ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის სხვა საფუძველი.

ამდენად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 1 იანვრის №26/03 ბრძანება, იმ ნაწილში, რომლითაც განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „AUNTIE ANNE'S" (საიდ. №66928/03) უარი ეთქვა 30-ე კლასის განცხადებული საქონლის მიმართ რეგისტრაციაზე.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული გარემოებანი და იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02

ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „ანტი ენნ’ს ინკ” („AUNTIE ANNE’S Inc.”) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 1 იანვრის №26/03 ბრძანება, იმ ნაწილში, რომლითაც განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „AUNTIE ANNE’S” (საიდ. №66928/03) უარი ეთქვა 30-ე კლასის განცხადებული საქონლის მიმართ რეგისტრაციაზე.
3. განცხადებული სასაქონლო ნიშანი „AUNTIE ANNE’S” (საიდ. №66928/03) დარეგისტრირდეს ასევე 30-ე კლასის განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვლის მიმართ.
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში. (მის.: მცხეთა, სამხედროს ქ. №17).

კოლეგიის თავმჯდომარე:	ე. ეგუტია
წევრები:	ე. ქემაშვილი
	დ. ჭიჭინაძე